

## მოდვარი მელი

ერთი მელი დაცანცარებდა. ძველთაგან თურე ნასოფლარი ყოფილიყო. სამღებროს ქვევრი, ლილით სავსე, პირღია დარჩომილიყო. სლვასა იქი-აქა შიგ თურე ჩავარდა, ამობორტყდა, ამოვიდა. მელი შავად შეღებული შეიქმნა. დაიწყო სიარული. ერთი მამალი შემოეყარა. ჰკითხა მელსა: რა დაგმართებიაო?═

მელმან უთხრა: ჩემნი დღენი ცოდვის ქმნით დავაღამე, ახლა ჭკუა მოვიხმარე, ეს სოფელი გავუშვი, ბერად შევდეგ. იერუსალიმს მინდა წავიდეო. მამალმან უთხრა: რადგან ცოდვისაგან ბელი აგიღია და ქველის საქმეს მრავლებ, მეც წამიტანე, მაღლი მოგხვდებო

მელმან წაიტანა და წავიდნენ.

შემოეყარა ძერა. უთხრა მამალსა: რას მოუცთუნებინარ, ვის მისდევო?═

მან უთხრა: მელი ბერად შემდგარა, იერუსალიმს მივა და მივსდევო.

მოეწონა ძვრასა და იგიც გაჰყვა. შემოეყარა ოფოფი, იგიც გაჰყვა.

შეიყარნენ ოთხნი ამხანაგნი. მელი სოროსაკენ გაუძღვა, თავისი ხერხიანი ენა ტკბილად აუბნა და ეგრე უთხრა: შვილებო, იერუსალიმს უმოდვრო კაცს არ მიესვლება. ცოდვის აღსარება უნდა გამანდოთ და მონანული წავიდეთო.

იგინი დამორჩილდენ. სოროში შეასხა, სამოდვრო სახლიაო და თვით კარისაკენ დაუჯდა. უთხრა: ოროლის ცოდვის შენდობა შემიძლიაო და მესამისა კი ვეღარაო.

მათ მაღლი მოახსენეს: თუცა ორს ცოდვას შეგვინდობ, მესამის შენდობას ვინდა ითხოვსო?═

მათ თავნი უბრალონი ეგონათ და მელი მიზეზს ეძებდა.

უბრძანა პირველსა მოწაფეს მამალსა: ღმერთმან ქათმის ყვილი გათენებისას ბრძანაო და შენ ვახშამთ უკან რად წაიცდენ ხოლმეო?═ მისი შენდობა მოითხოვა და აღარ-ქმნის აღთქმა დადვა. მანც შეუნდო.

მერმე ეს უბრძანა: ყოველს კაცს თითო ცოლი ჰყავს და შენ ათს არ დასჯერდები. ვისაც იბრიყვებ შენს ამხანაგს, მასცა წაჰგვრიო. მისიც აღთქმა დადვა და მან შეუნდო.

მესამე უთხრა: მხედარი არა ხარ და მშვილდოსანი, დეზები რად გაკრავს, შენ ხომ მის ჟამში ცხენს არ მჯდარხარო?═ მამალი მესამეს ცოდვაზედ რაღას იტყოდა?═ მოსწყვიტა თავი და წინ დაიდვა.

უბრძანა ძერას: ის რომ ავი მალობელი ხარ, არც სტვინვა გივარგა და არც ძახილი, მუდამ რად ყვივიო! ძერამ აღთქმა დადვა, და მან შეუნდო.

მეორე უთხრა: ღმერთმან შენ საზრდოდ ხვლიკი და თაგვი მოგცაო. ერთს ქვრივს სარჩოდ ერთი ქათამი ეგულეობის, დასვამს, ამაგსა იქმს და შენ მიხვალ და წიწილს რისთვის მოსტაცებო! ესეც შეუნდო.

მესამე უთხრა: ექვს თვეს მამლობ და ექვს თვეს დედლობ, გიდი ამიტომ დაგირქვამსო! მოსწყვიტა თავი და დაიდვა წინა.

სანამდისინ მელი ამ ორისაგან მოიცლიდა, მანამდინ ოფოფმან ასეთი ხერხები არჩივა, მელს ოსტატობით გარდაამეტა.

ჰკითხა მელმან ოფოფსა: სამეფო თომარ-ჯილა ვინ მოგცაო! ოფოფმან უთხრა: სოლომონ ბრძენმან თავისის ხელით დამხურაო.

მელმან უთხრა: მოწამე ვინა გყავსო!

ოფოფმან უთხრა: ერთი მსუქანი ბატი და ერთი მსუქანი იხვიო. მელს სიხარბით და მსუნაგობით ჰკუა და მცნება დაეფანტა;

ასე თქვა გულში: ეს ოფოფი ერთს ლუკმად არ მეყოფის და ერთი ბატი და იხვი ერთს კვირასაც მეყოფაო.

ბევრის ნდომა კაცს ასე წახედნს. მამალიცა და ძერაც იქივ შეუჭმელი დარჩა და თან გაჰყვა.

ოფოფმან მელი ერთს ხევში დააწვინა, მონადირე ვინმე დახვდა ქორითა და მწევრითა და ძალღებითა.

ოფოფი წინ დაუჯდა. სეფქა უნდა ესროლა. აფრინდა. მელს ახლო დაუჯდა. მიჰყვნენ მონადირენი. მანამდინ ქმნა, იმ ხევში მიიყვანა. მეძებრებმა კვალი ნახეს, მელი გაიხტუნეს, მწევრვბმან ასე გახადეს, ძვალი და რბილი გაუერთეს. ძლივ დაჩეჩქვილმან სული გარდაჰხვეწა.

ოფოფმან დაუძახა: მელიო, მოწამე ვერ გიშოვნეო!

მელმან უთხრა: რასაც მოძღვარს აღსარება სამოწმოდ გაუხდია, უარესიმც დაემართებაო!

ოფოფმან ჯავრი კი ამოიყარა, მაგრამ მამალსა და ძერას კი აღარა ეშველა რა.

- ეგ კაცი ის მელი არის და ბევრგან ნავალი. ასეთს საქმესა იქმს, შენვე თავსა შემოიკრა და აღარა გეშველოს რა!

ლეონ ნადირობდა და ლხინობდა, არას ზრუნევდა. დღესა ერთსა წავიდა ნადირობად. თვით თოხარიკსა ცხენსა შეჯდა. ჯუმბერს ხელთ ქორი შეუსვა, უცხენოდ წინ წაიმძღვანა, საღამომდინ არბენინა, ქორსა და ქორის ნაბულს ადევნა.

მეორეს დღეს მწევრები მისცა ხელთა. მათა და გორათა არბენინა. ფერხთსაცმელი გასცვივდა და ფეხები დაუსქდა, სისხლმან დენა დაუწყო.

მესამეს დღეს წინ შიკრიკად გამოიმძღვანა. მეტად დაშვრა, მალ-მალ დაეცემოდის, და არ მოეშვა. მანამდინ არბენინა, სადგომს მიიყვანა. ესმა ესეცა რუქას და შეასმინა მეფესა.

თქვა რუქამ არაკი: